ქედის მუნიციპალიტეტის მერია
ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან
ურთიერთობის განყოფილება

განყოფილების უფროსი: სოფიო ხაბაზი
ტელ: 599 85 12 21
ელ. ფოსტა: sofio.khabazi@gmail.com

დაუყოვნებლივ გასავრცელებლად

ა ნ ო ნ ს ი

,,ყადირ შერვაშიძის ბიუსტის გახსნა“

2017 წლის 13 დეკემბერს, 15 საათზე, დაბა ქედაში კოსტავას ქუჩაზე მდებარე სკვერში, პირველი აჭარელი ექიმის, თამარ მეფის ორდენის კავალერისა და საზოგადო მოღვაწის - ყადირ თუფანის ძე შერვაშიძის ბიუსტის გახსნის ცერემონია გაიმართება.

ცერემონიას დაესწრებიან ადგილობრივი და აჭარის მთავრობის წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწეები, საგვარეულოს წარმომადგენლები.

ბიუსტი ქედაში მერიის ინიციატივითა და ფინანსური უზრუნველყოფით განთავსდება. გახსნის ცერემონიას კი ორგანიზებას შერვაშიძეთა საგვარეულო გაუწევს.

ცერემონიას მუსიკალურად ქედის კულტურის ცენტრთან არსებული ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი ,,ელესა“ გააფორმებს.

ა ნ ო ტ ა ც ი ა

(1887-1919)

ყადირ შერვაშიძე 1887 წლის 20 ივლისს, ქედაში თუფან-ბეგ შერვაშიძის ოჯახში დაიბადა. ბათუმის ვაჟთა და თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1909 წელს სწავლა ქ. იურიევის (ტარტუ) უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის, მოგვიანებით კი სამედიცინო ფაკულტეტზე განაგრძო.

1914 წელს დაოჯახდა ვარლამ ბახტაძის ქალიშვილზე ნადეჟდაზე.

1915-1916 წწ მუშაობდა ბათუმის ერობის ექიმად, ხოლო შემდეგ, კავკასიის ფრონტზე სამხედრო ექიმად.

იყო ,,სასმუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ და ამიერკავკასიის სეიმის წევრი.

ხელი მოაწერა საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აქტს (1918 წ. 26 მაისი).

ასრულებდა ახალციხეში საქართველოს მთავრობის რწმუნებულის მოვალეობას, ჩამოაყალიბა ,,ქართველ ცხენოსანთა დივიზია“ და მეთაურობდა მას პოლკოვნიკის წოდებით.

1918 წლის 10 სექტემბერს ,,საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნულმა კომიტეტმა“ , ქვეყნის წინაშე დიდი დამსახურებისთვის, წმინდა თამარ მეფის ორდენით დააჯილდოვა.

1916 წელა სამშობლოს პატრიოტმა საკუთარი ორსართულიანი სახლი ქედაში საჩუქრად გადასცა სტაციონარის მოსაწყობად.

1919 წლის 8 მაისს, 32 წლის ასაკში, ბრძოლაში მტრის ტყვიას, მოღალატეთა ხანჯალს მრავალჯერ გადარჩენილი მხედართმთავარი ტიფის ეპიდემიას ემსხვერპლა, თუ მოშურნეთა საწამლავს შეეწირა, დაკრძალულია ქედაში.

,,საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნულმა კომიტეტმა“ 1915 წელს დააწესა თამარ მეფის ორდენი. ბაფთით დამსვენებული რვაქიმიანი ვარსკვლავი, ცენტრში - თამარ მეფის სურათით და წარწერით.